ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

G E O R G I A

CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

განკარგულება:**გ-97. 97252183**

თარიღი:**06/08/2025**

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სარჩევნო-სააგიტაციო მასალების

(პლაკატების) განთავსების რეგულირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მეორე ნაწილის და „საქართველოს სარჩევნო კოდექსის“ 46-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2025 წლის 4 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით:

ა) სარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოიყოს ადგილები თანდართული დანართის N1-ის შესაბამისად;

ბ) ამ განკარგულებით განსაზღვრულ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ობიექტების გარდა საარჩევნო სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს კერძო ობიექტებზე, მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში;

გ)საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსება (საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 46-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად) აკრძალულია ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს. სასამართლოს და პოლიციის შენობის ინტერიერსა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე;

დ) დაევალოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოყოფილი ადგილების თაობაზე ინფორმაცია გამოაქვეყნოს ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოში და ლენტეხის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

მუხლი 2.ამ განკარგულების პირველი მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნას საარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა, ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილ ადგილ(ებ)ით.

მუხლი3. ამ განკარგულების პირველი მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებულ ადგილებში სარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას ერთი ცალი საარჩევნო პლაკატი ზომით არა უმეტეს სიგრძე 60 სმ, სიგანე 42 სმ (A2 ფორმატით).

მუხლი4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სარჩევნო-სააგიტაციო მასალების (პლაკატების) განთავსების რეგულირების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აგვისტოს N-გ-97.97242432 განკარგულება.

მუხლი 5. განკარგულება მიღებიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ლენტეხის მაგისტრ სასამართლოში (მისამართი: დაბა ლენტეხი, დ. აღმაშენებლის ქ.N7).

მუხლი 6. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე